ოქმი:**ო37. 37223322**

თარიღი:**28/11/2022**

ოქმი # 24

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2022 წელი 24 ნოემბერი

ქ. ოზურგეთი

17.00-18.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. ბიგვავა, დ. ჭაკნელიძე, მ. ჩხიკვიშვილი, ბ. თოიძე, პ. კიღურაძე, დ. მჟავანაძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა კვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 9 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 21 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის N23 ოქმში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელმა ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ 2022 წლის 21 ნოემბრის ბიუროს სხდომაზე განისაზღვრა საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები -19 წევრით, აქედან „ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-11; ფრაქცია ‘ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-5 წევრით; ფრაქცია „ოზურგეთი საქართველოსათვის“-2 წევრით; უფრაქციო საკრებულოს წევრი-1 წევრით, მაგრამ გადაწყვეტილებაში დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, ამიტომ მიზანშეწონილია გადაწყვეტილებაში სათანადო ცვლილების შეტანა. ამ წინადადებას ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელმა ლ. ბიგვავამ ბიუროს წევრებს გააცნო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის წერილი, რომელშიც ფრაქციის წევრები ითხოვდნენ კომისიებში ადგილმონაცვლეობას კერძოდ: ნ. ქარჩავა-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიიდან გასვლას და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში გაწევრიანებას; ნ. მახარაძე-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიიდან გასვლას და სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიაში გაწევრიანებას; გ. კილაძე-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიიდან გასვლას და სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიაში გაწევრიანებას; ტ. მგელაძე-განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიიდან გასვლას და აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის კომისიაში გაწევრიანებას; ლ. ბიგვავა- სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიიდან გასვლას და აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის კომისიაში გაწევრიანებას; დ. დარჩია-აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის კომისიაში გაწევრიანებას; ნანა ღაჟონია-განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში გაწევრიანებას, გ. ჩავლეშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში გაწევრიანებას; ე. გორდელაძე -სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიაში და განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში გაწევრიანებას.

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელმა ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ ბიუჯეტის პროექტი განხილულ იქნა საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებსა და ფრაქციებში, დაფიქსირებულია შენიშვნები და რეკომენდაციები, რომელთა შესაბამისად, ნაერთი დასკვნითა და გადაწყვეტილებით, საკრებულოზე განხილვის შემდეგ პროექტი დაუბრუნდება მუნიციპალიტეტის მერიას.

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ ბიუროს წევრმა ლ. ბიგვავამ გამოთქვა აზრი საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს სხდომების დღის წესრიგებში ბოლოში დამატებოდა ერთი საკითხი „სხვადასხვა“, სადაც საკრებულოს წევრებს და დამსწრეთ ექნებათ საშუალება გააკეთონ განცხადებები, მიმართვები, გაავრცელონ ინფორმაციები დაა.შ., ეს აზრიც მოიწონეს ბიუროს წევრებმა.

გადაწყვიტეს:

1.შეტანილ იქნას ცვლილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 21 ნოემბრის სხდომის გადაწყვეტილებაში „დღის წესრიგში წარმოდგენილი ხუთივე საკითხი მიღებულ იქნას ცნობად“ და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ დღის წესრიგში წარმოდგენილი N 4 საკითხი დამტკიცდეს, N 1,2,3,5 საკითხები მიღებულ იქნას ცნობად“.

2. N2,3 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

3. საკრებულოს, ბიუროს სხდომების დღის წესრიგებს ბოლოში დაემატოს ერთი საკითხი „სხვადასხვა“, სადაც საკრებულოს წევრებს და დამსწრეთ ექნებათ საშუალება გააკეთონ განცხადებები, მიმართვები, გაავრცელონ ინფორმაციები და ა.შ.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი